„ჭეშმარიტად, რწმენა(იმანი) თქვენს გულებში იცვითება ისევე, როგორც იცვითება ტანსაცმელი. ამიტომ სთხოვეთ ალლაჰს, რომ განაახლოს რწმენა თქვენს გულებში!

გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ 'ამრ ბინ ალ-'აასისგან (ალლაჰი იყოს ორივეთი კმაყოფილი), რომ მან თქვა: თქვა ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): „ჭეშმარიტად, რწმენა(იმანი) თქვენს გულებში იცვითება ისევე, როგორც იცვითება ტანსაცმელი. ამიტომ სთხოვეთ ალლაჰს, რომ განაახლოს რწმენა თქვენს გულებში!"

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამცნობს, რომ რწმენა მუსლიმის გულში სუსტდება, როგორც ახალი სამოსი, რომელიც დროთა განმავლობაში გამოყენებით ძველდება; ეს იმის გამო ხდება, რომ თაყვანისცემაში მოსუსტდა, ან ცოდვების ჩადენის ან ვნებებში ჩაფლობის გამო. ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მიგვითითა, რომ შევევედროთ უზენაეს ალლაჰს, რომ განაახლოს ჩვენი რწმენა სავალდებულო დადგენილებების შესრულებით, ალლაჰის ხშირი გახსენებით(ზიქრით) და მიტევების თხოვნით.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65020

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee